





???

გავყევი რომანტიკოს პოეტს ტატო ბარათაშვილს და მომხიბლულელ დონ სეზარს. ხელში კი ვინ შემრჩა? მეგრული მგელი, რეციდივისტი ტიგრანა და ალქაჯი – ნიშნისმოგებით ეტყოდა ხოლმე ნათელა გოგის. როცა ისინი შეუღლდნენ გეგეჭკორის წარმატების პიკზე იყო. მისი მიერ შესრულებილი ტატო მაშინ იმდენად პოპულარული გახლდათ, რომ როცა ბარათაშვილის ძეგლი გაიხსნა ერთმა ქალბატონმა უკმაყოფილება გამოთქვა სრულებით არა ჰგავს გოგი გეგეჭკორსო.



საქათაქლის წიგნი

თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები 1940 წელს ჩააბარა. აკაკი ხორავა მისი მამის, ლიტერატორისა და ფოლკლორისტიკის ლადო გეგეჭკორის მეგობარი გახლდათ, ამიტომ განსაკუთრებით გულშემოყვარებული იყო. წლების შემდეგ ეს ამბავი აღწერა კიდევ:

„გამომცდელების მაგიდის წინ ჭაბუკი დგას: გამხდარი, ანონილი, ჩამოყრილი მკლავებით, ფერმკრთალი სახე ოფლს დაუცვარავს, გამოხედვა მძაფრი აქვს, თვალები – მრავლისმთქმელი.... ხმა აქვს – შეიძლება განავითარო. ეტიუდი არც მაინცდამაინც ზუსტადაა დამუშავებული, საოცარია – მუსიკალური ოჯახიდანაა, სმენა კი მოიკოჭლებს.

გარეგნობა – დუნეა, ანონილი, როგორღაც დაბნეული.

გამომცდელებს შორის კამათი ატყდა – მივიღოთ თუ არა. უმრავლესობა წინააღმდეგია. რამოდენიმე – მომხრე. მივიღეთ გაჭირვებით.“

მერე კი ომი დაიწყო. ინსტიტუტში ბიჭები აკლდათ ამიტომ სტუდენტებს მამაკაცი პერსონაჟების განსახიერება ხშირად სხვადასხვა ჯგუფების საკურსო სპექტაკლებში უწევდათ. პირველი როლი უსიტყვო ჰქონდა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ვახტანგ ტაბლიაშვილის ჯგუფის სადიპლომო წარმოდგენა გახლდათ მეორე კურსელი გეგეჭკორი სასაცილო ბიჭს პეტრუშკას ასახიერებდა – მას ცოტა რამ ევალებოდა – სამოვარი შემოიტანო და მაგიდაზე დადგა – აბა ამას რა მსახიობობა უნდა?! როლზე მუშაობა ფანქრით და ფურცლით დაიწყო. ადგა და პეტრუშკას პორტრეტი დახატა. ზურგს უკან სამოვარიც კი არ დავიწყებია, პეტრუშკა მაშინვე ცოცხალ ადამიანად გადაიქცა. გამხდარი თმაგაბურძენილი მიბრუნდა სამოვრისკენ, დაძაბულმა ასწია ორი თავისი სიმძიმის, გაბერილი და მოთუხთუხე და მაგიდისკენ გაემართა. ფრთხილად, თვალს არ აშორებს გაბლენძილს და პრიალას, მეფესავით მიაბრძანებს. ეშინია არ დაიფუფქოს. ბოლოს მაგიდამდე მიაღწია, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, დადგა და შვევით ამოისუნთქა ახლა კი შეუძლია ისევ კულისებში გავარდეს და გაქრეს, საიდანაც გაჩნდა. მაგრამ ვინ აცალა?! მაგიდასთან მოქეიფებმა გადაწყვიტეს, მოდი ერთი პეტრუშკას არაყი დავალევივით რა სანახაობა იქნებაო! . . . პეტრუშკამ არაყი გადაკრა, ცხოვრებაში პირველად, სანახაობა ისეთი გამოვიდა, რომ მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს...

იმხანად თბილისში ევაკუირებული გახლდათ ქვეყნის ინტელიგენციის ძალიან დიდი ნაწილი, ლიტერატურის და თეატრის მოღვაწენი, „მხატვის“ დასი, თავისი კაჩალოვითა და ნემიროვიჩ-დანიენკოთი. ხორავა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების საღამოებს ხშირად აწყობდა და დარბაზში ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს იწვევდა. სწორედ ასეთ პუბლიკასთან ნაიკითხა მეორე კურსელმა გიორგი გეგეჭკორმა „მგზავრის წერილები“. ლურჯხალათიანმა ბიჭმა სცენაზე სკამი გამოიტანა, დადგა და დაიწყო ხმადაბლა, მაგრამ ისე, რომ მისი თითოეული სიტყვა დარბაზში მყოფ ყოველ ადამიანს გარკვევით ესმოდა. იმ დღის მერე ილია ჭავჭავაძე მისი საყვარელი მწერალი გახდა. საღამომ წარმატებით ჩაიარა. მეორე დღეს გოგი სასწავლო თეატრის დარბაზში რეპეტიციას გადიოდა. უეცრად გაიღო კარი და ტოვსტონოგოვი შემოვიდა

- გოგი გამარჯობა.
- გამარჯობა გიორგი ალექსანდროვიჩ
- თქვენ მე გუშინ ძალიან მომეწონეთ! სტუდენტს თვალები გაუბრწყინდა
- გამადლობ

ისევ გვიან დაბრუნდა, ისევ ნასვამი. სახლის კართან ხასიათი წაუხდა. სანამ დააკაკუნებდა, შეუყოყმანდა. მერე თავს შემოუძახა და დააკაკუნა. ჯერ მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოისმა, მერე ურდულის ჩხაკაჩხუკი... ნათელამ კარი მშვიდად გააღო, თავიდან გოგის მოეჩვენა რომ გაუღიმა კიდევ, მერე ასევე მშვიდად ჩემოდანი სადარბაზოში გამოუდგა და მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებელი ტონით უთხრა – ეს შენს პროფესიაზე უკვე აისახა! წერტილი დასვა და კარიც მიუხურა.... ჩემოდანს დებნეულმა დახედა. . . ზურგში თითქოს ათასობით მაყუყურებლის მზერას გრძნობს. მან კი არ იცის ახლა რა როლი უნდა ითამაშოს. ქმრის თუ მსახიობის? რა მნიშვნ-

ისევ გვიან დაბრუნდა, ისევ ნასვამი. ნათელამ კარი მშვიდად გააღო, მერე ასევე მშვიდად ჩემოდანი სადარბაზოში გამოუდგა.

ელობა აქვს, ერთსაც და მეორესაც ახალგაზრდა ცოლმაც და პრინციპულმა კრიტიკოსმაც განაჩენი გამოუტანეს! თანაც ვინ, ნათელა ურუშაძემ! გოგი გეგეჭკორი კი აქამდე ასეთ გამოხმაურებას ჩვეული სულაც არ გახლდათ, არც ქალებისგან და არც კრიტიკოსებისგან. თავს ისე გრძნობს როგორც გამოცდაზე ჩაჭრილი აბიტურიენტი.

– მე თქვენ გთავაზობთ როლს ჩემს სპექტაკლში. თანახმა ხართ?

– რა თქმა უნდა გიორგი ალექსანდროვიჩ!

აი ასე დაიწყო და ასევე გაგრძელდა როცა 1944 წელს რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა გოგი გეგეჭკორს პროგრამით გათვალისწინებული 3 როლის ნაცლად 10 ჰქონდა განსახიერებული.

1949 წელია, რუსთაველის თეატრის წარმოდგენა „ნიკოლოზ

ლეღავს, ყველაგან დივერსია ელანდება, რატომღაც ეჭვობს, რომ ვინმე მავნე მის პრემიერას ჩაშლის.

პირველმა სურათმა კარგად ჩაიარა, კარგად კი არა შესანიშნავად. ახლა კი მეორე სურათი იწყება – „ჩინარი“, ორკესტრი უკრავს, იხსნება ფარდა, გეგეჭკორი ბარათაშვილი დარბაზისკენ ზურგით დგას და უეცრად გრძნობს, რომ პარტერი გაარღვია აპლოდისმენტებმა, კულისებიდან კი მოესმის.

– ჩი ! ბარათაშვილის ზურგს

მართლაც, მეორე დღიდან დაიწყო გეგეჭკორი ბარათაშვილის დიდი წარმატების ეპოქა, გოგოები მაშინ გასაქანს არ აძლევდნენ, სპექტაკლის ბოლოს ქუჩაში ელოდნენ, სიყვარულს უხსნიდნენ.

ბარათაშვილი“ ოპერის თეატრში თამაშდება, ჯერ კიდევ რეპეტიციებს გადიოდნენ როცა რუსთაველში ხანძარი გაჩნდა. მერე აქ გადმობარგდნენ, აქაურ დარბაზს მოერგნენ, და ბოლოს პრემიერის დღეც დადგა. რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე

ტაშს უკრავდნენ. – ეს დიმიტრი ალექსიძემ შესძახა. პრემიერის შემდეგ უბედნიერესი იყო. მოხუცმა მევიოლინემ კი სულ ფრთები შეასხა, გიორგი ომიაშვილი გადაეხვია და უთხრა – გოგი ხვალიდან იწყება შენი წარმატების ეპო-

ინსტიტუტში გიჟები აკლდით ამიტომ სტუდენტებს მამაკაცი პერსონაჟების განსახიერება სშირად სხვადასხვა ჯგუფების საკურსო საქმეებში უწევდათ





მიზა თუმანიშვილთან ანტრაქტზე

განა ასე არ მოხდა ერთხელ?! სპექტაკლის შემდეგ ბარათი მიიღო. . . ბარათებს ტკბილეულობას და ყვავილებს სცენაზე ესროდნენ, საგრიმიოროშიც თითქმის ყოველდღე E პოულობდა, მაგრამ ეს ბარათი სხვებისგან გამორჩეული გახლდათ – მის ავტორს მსახიობისთვის მთელი პოემა შეუთხზავს და ბოლოში ისიც მიუწერია: ბატონო გოგი, წარმოდგენის შემდეგ გელოდებიო. შეხვედრა გადანიჭიდა. ღელავდა, გარეთ რომ გამოვიდა, იკითხა:

- გოგი გეგეჭკორს ვინ ელოდება
- მე – უგამოხემაურა ახალგაზრდა გოგონა.
- მე გახლავართ.
- თქვენ. . . ის ხართ?
- დიას „ის“ ვარ

გოგონა დაიბნა და ისევ მოუთმენლად მიაცქერდა კარს, მერე თითქოს რალაცას მიხვდაო, კარიდან მზერა ისევ ახალგაზრდა გამხდარ ბიჭზე გადაიტანა, ბიჭმა გაუღიმა. გოგონამ ბოლოს და ბოლოს იცნო ბარათაშვილი გრიმისა და კოსტუმის გარეშე. ხელი ჩაიქნია, წავიდა უკანმოუხედავად, სიტყვის უთქმელად და დატოვა განბილებული მსახიობი.

ეს მაინც გამონაკლისი გახლდათ. თაყვანისმცემლები უკან იშვიათად იხევდნენ და წესიერად აღზრდილი კაცი, რომ არ ყოფილიყო ალბათ ხშირად ისარგებლებდა კიდეც სხვადასხვა ვითარებით. მაგრამ გეგეჭკორის წესიერებაზე დასში კეთილად ხუმრობდნენ კიდეც. სპექტაკლის შემდეგ მთავარი გასასვლელის ნაცვლად უკანა კარიდან იპარებოდა, ხან ვინ ეხმარებოდა და ხან ვინ, რომ თეატრი შეუმჩნეველად დაეტოვებინა. ასეთი თაყვანისცემით გარემოცულს ალბათ გაუჭირდებოდა კიდევაც ნამდვილი ურთიერთობის გაბმა და ალბათ კიდეც კარგა ხანს დარჩებოდა მარტო, რომ არა ერთი საბედისწერო თამაში.

ერთხელ გოგი მიზა თუმანიშვილმა აგარაკზე მიიწვია და თან მიკიბზ-მოკიბვის გარეშე მიანიშნა რომ იქ კარგად ნაცნობ მხიარულ კომპანიასთან ერთად იქნებოდა ერთი მშვენიერი, უცნობი ქალბატონიც, რომელსაც ძალიან უნდოდა „ბარათაშვილის“ ახლოს გაცნობა. მართლაც უახლოესი მეგობრები შეიკრიბნენ. ერთმანეთთან შეხუმრებული ხალხი. უცნობი გოგონა გეგეჭკორს საგანგებოდ გააცნეს, ბანქო ვითამაშოთო გადანიჭიდა, ყველა მაშინვე მიხვდა ვითარების დელიკატურობას. ყველა გარდა ნათელა ურუშაძისა, რომელმაც რატომღაც იმ დღეს გადანიჭიდა ბანქოს თამაშს ვისწავლიო და დიდი მონდომებით შეუდგა ამ საქმეს. გოგი თავიდან ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა უცხო გოგონაზე რომელიც მის სცენურ ორეულს დაჩრდილავდა, მაგრამ „ტატო,“ დაუმარცხებელი მეტოქე აღმოჩნდა. მსახიობმა მალევე დაყარა ფარხმალი და თავის გულში აღიარა რომ თავადაც ისევე გულგრილია ამ გოგონას მიმართ როგორც ის კუმირის ნამდვილი სახისადმი. სამაგიეროდ სულ უფრო და უფრო გაერთო ნათელა ურუშაძის ცქერით, ნათელა და გოგი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ ინსტიტუტში სამსახიობოზე ერთდროულად სწავლობდნენ, ბევრ დროს ატარებდნენ ერთად, მერე კი ნათელამ თეატრმცოდნეობაზე ჩააბარა მოსკოვში, უკან დაბრუნებული თეატრმცოდნეობის ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში, ბარათაშვილზე დიდად არ გიჟდებოდა, გოგი სხვა როლებში უფრო მოსწონდა, პრინციპული კრიტიკოსი იყო და მისი გულის მოგება ბუნებრივია ისეთი იოლი საქმე ვერ იქნებოდა, როგორც თეატრის მოყვარული ბარიშნების მოხიბვლა. ისე, მისი გულის მოგება არც სხვა საქმეში იქნებოდა იოლი, თაყვანისმცემლები არც მოსკოვში აკლდა და არც თბილისში, მაგრამ გათხოვებას არ ჩქარობდა,

ქაო! – ეს უბრალო ქათინაური არ გახლდათ, ხანდაზმულმა მუსიკოსმა იცოდა, რასაც ამბობდა, მას ხომ იმდენი ტაში და იმდენი ჩავარდნა უნახავს. . . მართლაც, მეორე დღიდან დაიწყო გეგეჭკორი ბარათაშვილის დიდი წარმატების ეპოქა, გოგოები მაშინ გასაქანს არ აძლევდნენ, სპექტაკლის ბოლოს

**გოგონამ ბოლოს და ბოლოს
იცნო ბარათაშვილი
გრიმისა და კოსტუმის
გარეშე. ხელი ჩაიქნია,
წავიდა უკანმოუხედავად**

ქუჩაში ელოდნენ, სიყვარულს უხსნიდნენ, საჩუქრებს ჩუქნიდნენ, გაცნობას ლამობდნენ. ყველა სხვა მსახიობისთვის ფარდა დაეშვებოდა და წარმოდგენაც დასრულდებოდა, ის კი ქუჩაშიც ბარათაშვილი უნდა ყოფილიყო. ქუჩაში არც გრიმი გაქვს და არც განათება გშველის, დღის შუქზე, ახლოდან შეგათვალიერებენ და შეიძლება უღმობელი განაჩენიც გამოგიტანონ.

საერთოდ არ ჰგავდა სხვა გოგოებს, ლამაზი არ ეთქმოდა მაგრამ ყურადღებას იქცევდა, ჩაცმით სადად, მაგრამ გამორჩეული ელევანტურობით ეცვა. ბანქოს ქალაქი კარგად მოვლილი, ლამაზი თითებით ჩამოარია, სადა, ვერცხლის ბეჭედი ეკეთა, გოგი აკვირდებოდა და თანდათან სულ გადავიწყდა საკუთარი მისია ამ თავყრილობაზე. ნათელა მოყვარულისთვის დამახასიათებელი ჟინით თამაშობდა, სასაცილო ლოგიკით მოქმედებდა, მაგრამ უმართლებდა, იგებდა და იგებდა, გოგისაც მოუგო, დამარცხებულს მიუბრუნდა და უთხრა – აი ხომ „გაგადურაკე“ ნახე ახლა ცოლადაც თუ არ გამოგყვეო... იმ დღეს ამაზე ბევრი იცინეს.

შემდეგ დღეებში კი სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდნენ ერთად, გვიან ღამით წარმოდგენების შემდეგ გოგი შინ აცილებდა, მერე ნათელა მიიპატიჟებდა და საათობით საუბრობდნენ. ერთხელ ნათელას დეიამ, ქალბატონმა ანიკომ გოგის ღამის პერანგი გამოუტანა – აი ბარემ ჩაიცვი და ღამეც აქ დარჩიო – ამან ძალიან გაამხიარულა ორივე. მერე კი გოგიმ ნათელას უთხრა – აი, ქალი მიხვდა რომ მე შინ წასვლა აღარ მინდა და შენ კი ვერაფერს მიგახვედრეო.

1953 წელს დაქორწინდნენ. ყველაფერი სადად, მხოლოდ ახლობლების გარემოცვაში ჩაატარეს, უხმაუროდ, მაგრამ გამოხმაურება ამ ამბავმა მაინც ჰპოვა.

თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა აკაკი ფალავამ პედაგოგი ნათელა ურუშაძე დაიბარა და შეწუხებულმა უთხრა:

– თქვენზე საჩივარია შემოსული, თურმე თქვენ სტალინის დაკრძალვის მეხუთე დღეს ხელი მოგიწერიათ, დაქორწინებულხართო.

წინ ფურცელი დაუდო. მავანი ფრიად აღელვებული და მგლოვიარე ჩიოდა – როგორ შეიძლება რომ ინსტიტუტში პედაგოგად გყავდეთ ადამიანი, რომელმაც ბელადის სიკვდილი არადა ჩააგდო და ქორწილი სწორედ საბჭოთა კავშირისთვის ასეთ მძიმე დროს გადაწყვიტაო.

შეწუხებული ფალავა შველას ისევ მისგან ელოდა: მითხარი აბა ამას რა პასუხი გავცეო. ნათელამ საჩივარი წაიკითხა და გამოსავალი მაშინვე გამონახა:

– ჯერ თავად გვიპასუხონ, რატომ მუშაობდა ასეთ დღეებში საბჭოთა მმართველის ბიურო და რადგან მუშაობდა ე. ი. სახელმწიფოს მიაჩნდა, რომ ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. ჩვენც საჭიროებისამებრ მოვიქვეყითო.

– მე ასეთ პასუხს ვერც მოვიფიქრებდიო – გაუხარდა აკაკი ფალავას.

ნათელას ამ პასუხის მოფიქრება არ გაჭირვებია მისი თაობის ხალხმა ძალიან ადრეულ ასაკში ისწავლა თავის გადარჩენის ეს ხერხი. ყველაფერზე ორ-ორი პასუხის გამოძებნა. ერთს ხმამაღლა იტყობდა და ამისთვის ციმბირს იქით არ დაგატოვებდნენ, მეორე კი შენთვის უნდა გცოდნოდა, გულში ღრმად უნდა ჩაგემარხა და არასოდეს დაგევიწყებინა. ნათელა ხალხის მტრის შვილი იყო. მაშინ დედამისი ქალბატონი ანა ჩიტაშვილი სულ რამდენიმე წლის დაბრუნებული გახლადთ გადასახლებიდან. მამა, გურული ბოლშევიკი ამბერკი ურუშაძე (ისევე როგორც მისი მენშევიკი ძმა) დიდი ხნის დახვრეტილი იყო. მიუხედავად ასეთი ბავშვობისა, მძიმე წლებიდან ერთი რამის შიში გამოყვა მხოლოდ – ხმადაბალი ფრთხილი დაკაკუნებისა ეშინოდა. სწორედ ასე დააკაკუნეს მაშინ შორეულ 37-ში. დღისით, მზისით, წყნარად და ფრთხილად, მამამ გაულო. შინ მხოლოდ ორნი იყვნენ დედა საქმეებზე წასულიყო. სამი კაცი შემოვიდა – ამხანაგო ამბერკი, მავანი და მავანი გი-

ბარებთ თქვენთან შეხვედრა სურსო – მერე მშვიდად იცდიდნენ, სანამ მამა გაემზადებოდა, მაგრამ ნათელა მაინც ყველაფერს მიხვდა, მამამ აკოცა და წავიდა. მალე დედაც დააპატიმრეს, ნათელას და ბებიაშის მართას ნიეთები ბინიდან გამოუყარეს და სახლის კარი გამოუკეტეს, უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვი ანას დამ, ნინომ შეიკედლა. თავის გატანაში კი ბიძები ეხმარებოდნენ ისინი ოქრომჭედლები იყვნენ და შედარებით შეძლებულად ცხოვრობდნენ.

დამარცხებულს მიუბრუნდა და უთხრა – აი ხომ „გაგადურაკე“ ნახე ახლა ცოლადაც თუ არ გამოგყვეო... იმ დღეს ამაზე ბევრი იცინეს.

სალამობით ქალაქს ბავშვების ჟრიაშილი აავსებდა. ყველას ვისაც გაკვეთილები მომზადებული ჰქონდა, შეეძლო სრული თავისუფლებით დამტკბარიყო, ისინიც ივინყებდნენ დარდას და სევდას, დაკარგულ, დაღუპულ მშობლებს და მშინერ კუჭს, დაზეპირებულ ლექსებს დიდი ბელადებზე, პატიოსან პიონერულ სიტყვას და საწოლის ქვეს შემალულ დღიურებს,





???

გადატყავებულ მუხლებს და ხალხში მოქცევის წესებს, დახტოდნენ, დარბოდნენ, ყირას ჭიმავენენ, განძს ეძებდნენ, ინდიელებს ებრძოდნენ, ფილმების გმირებს ბაძავდნენ ყველაზე მაღალ ხეებზე დაძვრებოდნენ, სხვენებში იმალებოდნენ და სახურავებზე დაჯირითობდნენ. ეს იყო ნამდვილი ამინისტია დიდ

მხარეს ქუჩაში გამავალ ფანჯარასთან გადაინაცვლებდა, მაგრამ დიდხანს იქაც ვერ ძლებდა, ცნობისმოყვარე გამველელთა მზერა აწუხებდა, ამიტომ ისევ იძულებული იყო ეზოსკენ გამავალ შუშაბანდში გადმომჯარიყო. . . იქ კი ისევ ნათელას წაწყდებოდა და მოსვენებას კარგავდა.

ქალბატონმა ანიკომ გოგის ღამის პერანგი გამოუტანა – აი ბარემ ჩაიცვი და ღამეც აქ დარჩიო - ამან ძალიან გაამხიარულა ორივე. მერე კი გოგიმ ნათელას უთხრა – აი, ქალი მიხვდა რომ მე შინ წასვლა აღარ მინდა და შენ კი ვერაფერს მიგახვედრეო.

წითელ ციხეში. ასეთი საღამოების უსაზღვრო თავისუფლება უფროსებისთვის მიუწვდომელი გახლდათ, მათ შეეძლოთ მხოლოდ თვალი ედევნებინათ ფანჯრებიდან ან ეზოში ძელსკამებზე ჩამომსხდარებს და კიდევ უფრო მეტად ჩაძირულიყვნენ საკუთარ სევდაში.

სევდა განსაკუთრებით ხშირად ებრაელ შულმანს სტუმრობდა, ყოველთვის როცა სამსახურიდან დაღლილი დაბრუნდებოდა, დასასვენებლად შუშაბანდში ჩამოჯდებოდა და ეზოში ბავშვების თამაშს თვალს ადევნებდა. მეზობლის 14 წლის ნათელას თუ მოკრავდა თვალს გულზე თითქოს მძიმე ლოდი დაანვებოდა, ერთ ადგილას ველარ იჯდა. ბინის მეორე

ქალბატონი შულმანი ქმარს ატყობდა მოუსვენრობას და ძალიან წუხდა. ზოგჯერ დაიჩივლებდა კიდევ სამეზობლოში, ჩემი ქმარი ძალიან იღლება ძალიან მძიმე სამსახური აქვსო! მაშინ ყველაზე წუნუნა დიასახლისიც კი ხმას გაიკმენდდა, აღარც გაძვირებულ ბაზარზე იტყოდა რამეს და არც ქმრის მცირე ჯამაგირს ახსენებდა. ყველამ იცოდა, შულმანს მართლაც მძიმე სამსახური ჰქონდა – ჯალათი იყო. დახვერცის განაჩენი სისრულეში მოჰყავდა.

ერთხელ ეს ქალბატონი ნათელას დეიდას სტუმრად ეწვია. და მისი დანაბარები გადასცა – აღარ შემძლია ამ პატარა გოგოს საცოდაობის ყურება, მამა აღარ ჰყავს, დედის ასავალ-

დასავალი კი არ იცის, მე კი შემძლია გავიგო.

თურმე შულმანს, როგორც გარკვეულ დანესებულებებში, გარკვეული მიზეზების გამო სანდო კაცს მოუხერხებია და ყველა იმ ბანაკის ნუსხა და მისამართი მოუპოვებია, სადაც ხალხის მტრის ცოლები იხდიდნენ სასჯელს შულმანის ცოლმა ნათელას დეიდას ეს ნუსხა გადასცა და ერთი ხერხი ასწავლა – ყველა ამ მისამართზე ანა ჩიტასვილის სახელზე 5 მანეთიანი გადაგზავნეთ საიდანაც უკან არ დაბრუნდება იქ არის თქვენი პატიმარიო.

ნამ ერთი ასეთი ინციდენტი არ მოხდა. ზონის უფროსს ბავშვი ავად გაუხდა. ან იმ დანეცვილი მხარეში სხვა ექიმი არ იყო, ან უბრალოდ სხვა ექიმებმა ბავშვს ვერაფერი უშველეს ერთი სიტყვით აუცილებელი გახდა პატარა პაციენტის გადასახლებული პედიატრისთვის ჩვენება. იქ მოხდა სრულიად გაუთავლისწინებელი რამ, შვილებს მონყვეტილმა ათასობით პატიმარმა ქალმა ბავშვის დანახვაზე თავგზა დაკარგა. ასეთი ამბის ატეხა, ალბათ თავზეხელაღებულ რეციდივისტებსაც არ შეეძლოთ. მათ შიშველი ხელებით დალენეს შუშები, ნიფთები, ლამის კედლე-

აკაკი ფალავამ პედაგოგი ნათელა ურუშაძე დაიბარა და შენუხებულმა უთხრა: – თქვენზე საჩივარია შემოსული, თურმე თქვენ სტალინის დაკრძალვის მეხუთე დაქორწინებულხართო.

„ნებისმიერ დროში ნებისმიერ ვითარებაში არიან ადამიანები რომელთაც სჭირდებათ თავისთვისვე რომ შეინაჩუონონ თავის თავში ადამიანი! – ეს იყო ზნეობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი რომელიც 14 წლის ნათელა ურუშაძეს პროფესიით ჯალათმა შულმანმა ჩაუტარა.

ყველა ბანაკიდან დააბრუნეს ხუთმანეთიანი მხოლოდ პოტმის ბანაკიდან არ დაბრუნებულა. Nნათელამ დედა იპოვა.

თავიდან პოტმის ბანაკიდან ხალხის მტრის ცოლებს შვილებთან მიმონერის საშუალება სრულებით არ ჰქონდათ. სა-

ბიც კი დაანგრის. უმეტესობამ ისიც კი არ იცოდა, ცოცხალი ჰყავდა თუ არა შვილი. ვინც საქართველოდან იყო შედარებით მშვიდად გრძნოდა თავს, ჩვენს ქვეყანაში ობლად დარჩენილს უპატრონო მაინც არ ერქვა – მას ვინმე ნათესავი აუცილებლად შეიფარებდა. მაგრამ აი რუსეთში, ან სხვა ისეთ რესპუბლიკაში, სადაც ტრადიციულად არ იყო ნათესაური კავშირები ამდენად მჭიდრო, ხალხის მტრის მცირეწლოვანი შვილები, საუკეთესო შემთხვევაში ბავშვთა სახლებში ხვდებოდნენ. მაშინდელ ბავშვთა სახლებში კი მათი ყოფა ბევრად არ განსვავდებოდა

???





ბანაკებში მათი უბედური დედების ყოფისგან.

ამ ამბის შემდეგ გადაწყდა რომ ქალებისთვის, ვისი შვილებიც ბავშვთა სახლებში იმყოფებოდნენ მიმონერის უფლება მიეცათ. ამ გამონაკლისით ისარგებლა ნათელას დედამ ანა ჩიტაშვილმაც და თბილისში გამოგზავნილ წერილს კონვერტზე ასე აწერდა: თბილისი. გრიბოედოვის 30. ბავშვთა სახლი. გამგე ნინო ჩიტაშვილი. გადამონმება იმისა, ნამდვილად იყო თუ არა გრიბოედოვის 30-ში ბავშვთა სახლი, რატომღაც თავში არავის

შულმანს მართლაც მძიმე სამსახური ჰქონდა – ჯალათი იყო. დახვრეტის განაჩენი სისრულეში მოჰყავდა.

მოუვიდა. უკვე დახვრეტილი, დაპატიმრებული და დაობლებული მტრებისთვის ალბათ აღარ ეცალათ. სხვების რიგი იდგა. ნათელა იზრდებოდა, უფროსებს უჯერებდა კარგად სწავლობდა, მომავალი ცხოვრების გეგმებს აწყობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ საბუთების სამედიცინო ინსტიტუტში შეტანა დააპირა. ფრიადოსანი იყო და დიდი იმედი ჰქონდა რომ მისთვის უზომოდ საინტერესო საქმის შესწავლას დიდი დაბრკოლების გარეშე შეუდგებოდა, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაეყარა. გოგონას გარკვევით მიაჩნებოდა რომ ხალხის მტრის შვილს სამედიცინო ინსტიტუტში არ მიიღებდნენ. ადამიანების სოცოცხ-

ლეს მისნაირებს ვერ ანდობდნენ. . . ბავშვობისას თეატრში მამასთან ერთად ხშირად დადიოდა, ეს მათი საერთო გატაცება იყო. თეატრში გატარებული საღამოები პარტეტრის სუნი, საღამოს კაბებში გამოწყობილი ქალბატონები ეს ყველაფერი ხანმოკლე ბედნიერი ბავშვობის ანარეკლივით ჰქონდა მესხიერებაში ჩაბეჭდილი. ნათელამ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარება გადაწყვიტა, და ჩააბარა კიდეც.

დიმიტრი ალექსიდის ჯგუფში მოხვდა, ისევე როგორც ერთ წელიწადში მისი მომავალი მეუღლე გიორგი გეგეჭკორი. მაშინ ალბათ არც უფიქრიათ რომ მომავალი უფრო მეტად დააკავშირებდათ. მაშინ სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. საერთო ჰქონდათ დღის განრიგი ლექციები, რეპეტიციები, ერთხელ გორკის მდაბინიში ერთად ითამაშეს. სპექტაკლი გიორგი ტოვსტონოგოვმა დადგა. ახალგაზრდა რეჟისორს განსაკუთრებული ქარიზმა ჰქონდა, რომელიც საოცრად იზიდავდა სტუდენტებს. ისინი ტოვსტონოგოვს მოსვენებას არ აძლევდნენ ახალგაზრდა კაცი იყო, იქნებ რა უნდოდა, მაგრამ არა... შინაც სტუდენტები მიაცილებდნენ, იქაც შეყვებოდნენ და სულის ამოთქმის არ აცდიდნენ.

მეორე კურსზე იყო,, ომი რომ დაიწყო და სტუდენტურ ყოფაში თავის წესები შემოიტანა ერთერთი წესის თანახმად სტუდენტები ვალდებული იყვნენ ყოველ ღამით სახურავზე მორიგეობა ჰქონოდათ – მათ უნდა ედარაჯათ, არც მეტი არც ნაკლები მტრის თვითმფრინავებისთვის, მორიგეობა ნათელა ურუშაძესა და ლილი იოსელიანსაც მოუწია – ისხდნენ მთელი ღამე სახურავზე, ფაშისტური გერმანიის ავიაციას დადარაჯებულები. სხვა ყველაფერი კი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, მეტყველებას იმ ოთახში მეცადინეობდნენ სადაც ოდესღაც სანდრო ახმეტელი ცხოვრობდა, ლექციამდე დერეფანში მიდი მოდიოდნენ და სავარჯიშოებს იმეროებდნენ: მწლი მწლე მწლო დგიფ დგაფ დგუფ, კაპიკი გაკაპიკებულა საკაპიკეში ჩაკაპიკებულა. გრიმს ფარიკაობა მოსდევდა, მერე რიტმიკა, სასცენო მოძრაობა.

ნათელამ თავი განსაკუთრებულად აკრობატიკაში გამოიჩინა. თუმცა აკრობატიკაზე მეტად მისი საერთო განათლება ქართული და რუსული ენის ცოდნა და აზროვნების უნარი იყრობდა ყურადღებას. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მაშინ თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი არ არსებობდა, ნათელა მესამე კურსზე იყო როცა „გიტისიდან“ მოვიდა შეტყობინება, რომ ქართველი სტუდენტებისთვის ლიმიტით გამოიყო ადგილი თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე. მაშინ აკაკი ხორავამ დაიბარა და უთხრა: – ენა იცი არაჩვეულებრივი მასწავლებლები გყავდა, ნადი და ისწავლე ჩამოხვალ და გავხსნათ თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი. ნათელა სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, რჩევას ტოვსტონოგოვსაც დაეკითხა – ეს აზრი მანაც მოიწონა.

მოსკოვში ნათელას დახვდნენ გიგა ლორთქიფანიძე და მიხეილ გიჟიმერელი რომლებმაც მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ლიტერატორთან ქალბატონ ფატი თვალთვაძესთან მიიყვანეს, მან ხორავას ბარათი წაიკითხა მის მიერ ჩამოწერილ დიდ სიასაც გადაავლო თვალი, ხორავას გეგმით ამ სიაში ჩამოთვლილი გამოჩენილ ხალხს ნათელასთვის დახმარება უნდა გაენია, სიას სარეკონმენდაციო ბარათებიც თან ახლდა. ქალბატონმა ფატიმ გეგმა ოდნავ შეცვალა და ნათელას ურჩია – რად გინდა აქეთ იქით სიარული ეს ამდენი ხალხთან შეხვედრა. ყველაფერს ჯობს პირდაპირ მოკულსკისთან მიხვიდეო. სტეფან სტეფანოვიჩ მოკულსკი გიტისის (დი?)რექტორი და საბჭოთა კავშირში

თეატრმცოდნეობის როგორც მეცნიერების ფუძემდებელი იყო.

მოკულსკის მისაღებაში ახალგაზრდა გოგონამ მდივანს მოახსენა სტეფან სტეფანოვიჩისთვის ბარათი მაქვს აკაკი ხორავასგანო. აკაკი ხორავს სახელმა მდივანზე საჭირო შთაბეჭდილება მოახდინა, ის მაშინვე შეუძღვა გოგონას რექტორის კაბინეტში. სტეფან სტეფანოვიჩი წარმოშობით პოლონელი გახლდათ, მაღალი კარგი გარეგნობის უკვე ასაკიანი კაცი იყო. ხორავას ბარათი წაიკითხა ნათელა შეათვალა. მერე დააჭირა ზარს ხელი და განკარგულება გასცა – რატომღა გადავდოთ ამ გოგონას გამოცდა, კომისიის ყველა წევრი ახლა ამ შენობაში იმყოფება, მოდით შევკრიბოთ და გამოცდა აქვე ჩავატაროთო. არ გასულა ათი წუთიც და თუკი ვინმე ქვეყნად არსებობდა, ვისი წიგნებითაც ქვეყანაში თეატრალური ხელოვნების ისტორიასა და თეორიას სწავლობდნენ, ყველა შეიკრიბა: ბორის ალპერსი, გრიგორი ბოიაჯიევი, თავად მხცოვანი ალექსეი ჯივლევიგოვი.

ნათელამ თეატრის თეორიის ქურუმებს თვალი გადაავლო – ეს ერთი იტალიური თეატრის შესახებ წერდა, ეს ფრანგული დრამის თეორიის ფუძემდებელია... ვაითუ ყველაფერს ვერ ვუპასუხო და შევრცხვეო – აღელდა. ეტყობა მიხვდა რა მდგომარეობასაც იმყოფებოდა გოგონა და პირველი კითხვა ჯივლევიგოვმა დაუსვა.

– აბა ერთი გვიამბეთ რა ხდება თანამედროვე ქართულ თეატრში! – იმ წუთას ნათელაზე მადლიერი დედამიწაზე ცოტა იქნებოდა, მას სწორედ ის ჰკითხეს, რაშიც იმ ოთახში ყველაზე უკეთ ერკვეოდა. შვებით ამოისუნთქა და დაიწყო. . . . ქართულ თეატრში კი მაშინ თამაშობდნენ აკაკი ხორავა და აკაკი ვასაზე, ვერიკო და სესილია. თამაშობდნენ ივდითის, ოტელოს მარგარიტა გოტიეს.

როცა ყოველივე დასრულდა და სახელდახელოდ შეკრებილი დიდებული კომისია დაიშალა კვლავ მოკულსკის პირისპირ დარჩენილმა შეეცადა მადლიერება გამოეხატა. –სტეფან სტეფანოვიჩ, არც კი ვიცო რით გამოვხატო თქვენდამი მადლობა, რომ ამდენი დრო დათმეთ ჩემს გამო და ასე კეთილად დაასრულდა ჩემი ამბავი. –სტეფან სტეფანოვიჩმა სიტყვა გაანწყვეტინა – ასე კარგად ერკვევით ქართულ თეატრში, ყველაფერი გესმით და ყველაფერი იცით, იმას კი ვერ ხვდებით, რომ ეს მე უნდა ვიყო თქვენი მადლობელი, თქვენ რომ არა, ჩემს პირად არქივში ვერასოდეს მოხვდებოდა აკაკი ხორავას წერილიო.

ნათელა ურუშაძე თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ბინად მარტოხელა ქალთან, მარია პეტროვნასთან დასახლდა. ქალბატონი ფატი თავლთვაზის რექტორმენდაციით მის კომუნალურ ბინაში კუთხე იქირავა, რუსული გამოთქმა რომ არის სწორედ ასე ცხოვრობდნენ დიასახლისი უგემრიელეს ღვეზელებს აცხობდა და ოჯახის წევრივით უვლიდა მდგმურს. როგორც ნათელას, მასაც არ ჰყავდა ადამიანი ვისთანაც ოჯახური სიტბოს გამოხატვას შეძლებდა, თუმცა ნათელას როგორ არ ჰყავდა, ჰყავდა. . . ყველაზე ახლობელი ადამიანი შორეულ პოტმადან ისევ აგზავნიდა წერილებს, ისე პოტმა მოსკოვიდან სულაც აღარ იყო ისე შორს როგორც თბილისიდან, ნათელამ მოახერხა, რომ დედასთან შეხვედრის უფლება გამოეთხოვა.

ანა ჩიტაშვილს გადასახლების ვადა ჯერ არ გასვლოდა მაგრამ უკვე ბანაკის გარეთ ე.წ. თავისუფალ დასახლებაში ცხოვრების უფლება ჰქონდა, მხნე ქალი იყო, მოგვიანებით უკვე დაბრუნებული გადასახლებიდან ამბობდა – ვინც ჯერ

კიდევ ბანაკამდე მოგზაურობის პირველ სამ ჯოჯხეთურ დღეს გადაურჩა, ისინი გამოჯანმრთლდნენ კიდევცო. დასახლებაში რამდენადაც კი მისი მდგომარეობა საშუალებას აძლევდა ცხოვრება დაილაგა, საკუთარი სახლი ჰქონდა, სამსახურიც. შრომისმოყვარე და მარჯვე ქალს ბრიგადაც კი ჩააბარეს. სისხლის სამართლის დამანაშავეების მინდვრის სამუშაოებზე გაყვანა ევალებოდა.

შულმანის ცოლმა ნათელას ერთი ხერხი ასწავლა – საიდანაც 5 მანეთიანი უკან არ დაბრუნდება იქ არის თქვენი პატიმარიო.

შვილის ჩამოსვლის შესახებ რომ გაიგო, გადანწყვიტა სადგურში დახვედროდა. სადგური დასახლებიდან მოშორებით იყო იქამდე ნათელა მარხილით გაემგზავრა, ანა კი მის შეასხვედრად ფეხით გაემურა. ამის შესახებ ნათელამ რა თქმა უნდა არაფერი იცოდა. დედა-შვილი ერთმანეთს გზაში აცდა.

თავისუფალ დასახლებაში რომ ჩააღწია ნათელა შეუძლოდ იყო. გზაში სიცხე მისცა. ამიტომ მაშინვე სანიტარულ ნაწილში მოათავსეს.





ლადო გეგეჭკორი

გაუგზუნა კიდეც შვილს, ვისაც ასეთი იღბალი არ აღმოაჩნდა ისინი პატარა ტანისსამოს ბოლჩებში ინახავდნენ. იმ ბოლჩებში სხვა არც არაფერი იყო, ამ ტანსაცმლისა და მათგან გადარჩენილი ნაკუნების გარდა. აი სწორედ ეს ნაკუნები ამოქექეს ქალებმა, ზოგმა თმის სამაგრი, ზოგმა ყელზე ბაფთა, ზოგმა კი ძონძის სამაჯური შეიბა. ასე მორთულ-მოკაზმულებმა აღნიშნეს ანას ქალიშვილის სტუმრობა.

ნათელამ ? ნელს გიტისი დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა და როგორც ადრევე იყო დაგეგმილი მას თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი ჩააბარეს.

48-ში დაბრუნდა ანაც, ერთი წელი მას თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა ამიტომ თავიდან მცხეთაში დასახლდა. ერთი წლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს შვილთან ცხოვრების საშუალებაც მიეცა. იქ რომ ვიყავი ლებარდში – კურორტზე, ასე გაიხსენებდა ხოლმე ქალბატონი ანიკო თავის პატიმრობას, ზოგჯერ სტუმრად მეგობრები მისი ასაკის ქალბატონები ეწვეოდნენ მაშინ სახლს აავსებდა მათი სიცილი, ქოთქოთი, კისკისი, იფიქრებდი ამ ქალებს ცხოვრებაში სიხარულის და სიკეთის გარდა არაფერი უნახავთო, პატარა გოგონებივით ილხედნენ. თუ ვინმე შეეკითხებოდა ასეთი რა გაგახსენდათო, ისეთი არაფერი, იქაურ ამბებს ვიხსენებთ აი, ლებარდში რომ ვიყავით „დასასვენებლადო“ მიუგებდა ანიკო.

როცა ნათელა და გოგი დაქორწინდნენ. სიძე-სიდედრს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა, შეიძლება ითქვას მეგობრულიც კი. ზოგჯერ ნათელასგან რაღაც საიდუმლოებებიც კი ჰქონდათ ასეთ დროს ერთმანეთში სომხურად საუბრობდნენ. ორივე ძველ თბილისში იყო გაზრდილი და ეს ენა მშვენივრად იცოდნენ.

არანაკლებ თბილი ურთიერთობა ჰქონდა ნათელას გოგის მშობლებთანაც, მისი დედამთილი თამარ გელოვანი, ორი ვაჟის მერაბისა და გიორგის დედა იყო. ქალიშვილი არ ჰყავდა. ამიტომ რძლებთან თავი ისე ეჭირა როგორც საკუთარ ქალიშვილებთან. თუკი გოგის რეპეტიციიდან სადილად დააგვიანდებოდა ნათელას ეტყოდა ხოლმე, ის არა კმარა შენი ქმარი წესიერად რომ არ სადილობს, ნუ დაელოდები შენ შენს თავს მიხედე. ქალმა ჯერ საკუთარ თავს უნდა სცეს პატივიო. გოგის მამა კი რძალში ყველაზე მეტად მის უპარტიოებას აფასებდა, მარტვილის მონასტრის უკანასკნელი დეკანოზის ვაჟი, თავგადაკლული ფედერალისტი ლადო გეგეჭკორისთვის ეს ღირსების საკითხი გახლდათ.

თამარ გელოვანი მე-14-ე სკოლის დირექტორად მუშაობდა. ერთხელ ავად გახდა და მისი ჯამაგირის ასაღებად მეუღლე წავიდა. უკან დაბრუნებულს შინაურებმმა მაშინვე შეატყეს რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. რა მოხდაო ერთი კი გაუბედეს. ლადო გეგეჭკორმა ჯერ ერთ რძალს გადახედა, მერე მეორეს და დამძიმებული ხმით მიუგო:

– შვილებო! დედამ გვიღალატა!

ასეთ ხმამალალ განცხადებას მცირე დუმილი მოყვა. მერე კი განადგურებულმა ოჯახის თავკაცმა მის თავს გადახდენილი სირცხვილის ამბავი მოყვა.

თურმე ჯამაგირის გაცემისას ბუღალტერმა პარტიის სანეგრო მოსთხოვა.

– რას ბრძანებთ ქალბატონო ჩემი მეუღლე უპარტიოაო – შეეპასუხა გეგეჭკორი და გაჯიუტდა.

მაშინ მოლარეს სხვა რა დარჩენოდა, იძულებული გახდა მისთვის დამამტკიცებელი საბუთი ეჩვენებინა – ამხანაგ თამარ გელოვანის ხელმოწერები ადასტურებდა რომ ის ყოველთვის

მაღალი სიცხისგან გაბრუებული, წამლების სუნით გაჟღერ-თილ ოთახში ინვა როცა ფანჯარაში უკვე ხანმორეული ქალის სახეს მოკრა თვალი. ეს სახე თითქოს ადრე სადღაც ენახა, მერე მიხვდა . . მიხვდა და უეცრად შვებაც კი იგრძნო . . . კიდეც კარგი რომ სიცხე მაქვს და ახლა ურთიერთობა არ მომიწევსო. მიხვდა რომ არ იცოდა რა ეთქვა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო რომ დედას სრულიად გადაჩვეოდა. ცოტათი რომ მოიკეთა პირველი ბარიერი უკვე გადალახული ჰქონდა. სალამოს ანას ქონში წვეულება გაიმართა. ქალებს ბანაკიდან შემორჩენილი ზოლიანი პატიმრის ტანსაცმელი ეცვათ, შინიდან გამოყოფილი ნივთები კი სადღაც ბოხჩების და ფუთების ძირში

ლადო გეგეჭკორმა ჯერ ერთ რძალს გადახედა, მერე მეორეს და დამძიმებული ხმით მიუგო:– შვილებო! დედამ გვიღალატა!

ჰქონდათ მიმალული. უფრო სწორედ კი ის რაც ამ ნივთებიდან გადარჩენილყო. ნაქსოვი რაც იყო ყველაფერი პირველივე თვეებში დაარღვიეს. ფერად-ფერად ბურთებად დაახვიეს და მერე თავიდან მოქსოვეს. ერთისგან – ორი, დიდისგან – პატარები. შვილებს უქსოვდნენ, შემთხვევით ტანზე შემორჩენილ ძვირფას თეთრეულს მაქმნები შემოარღვიეს და პატარა კაბებს საყელოებად შემოაკერეს, ვისაც მეტად გაუმართლა

რად წესიერად იხდიდა კომუნისტური პარტიის საწევროს.

პირველი შვილი მალევე შეეძინათ. გოგონა რვათვიანი დაიბადა. ნათელა რომელიც ყოველთვის ინტერესდებოდა მედიცინით და ზოგი რამ ადამიანის ორგანიზმისა და ჯანმრთელობის შესახებ ნამდვილად გაეგებოდა, ითხოვდა რომ ჩვილი ინკუბატორში მოეთავსებინათ ექიმებმა არ დაუჯერეს, გოგონა მალე დაიღუპა. მანანა ერთი წლის მერე მოვევლინა ქვეყანას, სამ წელიწადში 23 ნოემბერს, ვაჟიც რომ შეეძინათ ნათელამ მამათილს სამშობიაროდან შეუთვალა ძველებური მერული სახელების სია მომწერეთ, თქვენს შვილიშვილს უნდა

ეყარა – ძუკუ, დუტუ, უტუ, კოჩია, ბოჩია . . გასაჭირიდან ხანშიშესულმა მედდამ იხსნა – შვილო რა ბევრი ფიქრი უნდა, გიორგობა დღეს დაბადებულ ბიჭს რა სახელი უნდა ერქვასო – მამათილს ასეთ არჩევანიც ესამოვნა.

თეატრალების ოჯახი ობივატელის თვალში დაუსრულებელი ქეიფების ღამისთევების გარეშე წარმოუდგენელია, არტისტს ბევრ ისეთ რამეს მიუტევენ, რასაც წესიერ ოჯახში აღზრდილ კაცს სხვა შემთხვევასი არ ჰპატიობენ, მაგალითად მათი შვილები სკოლაში დაგვიანების ან გაცდენის გამო იშვიათად ისჯებიან, აქაოდა ბოჰემური ოჯახიდან არიან, კულისების

მეგრულ მამათილს რძლისგან ასეთი პატივისცემა რა თქმა უნდა ესამოვნა და შპალერის ნახევზე რამდენიმე სახელი ჩამოუნერა. ნათელამ თვალი ჩააყოლა სახელების სიას და გულზე შემოეყარა – ძუკუ, დუტუ, უტუ, კოჩია, ბოჩია...

დავარქვაო. მეგრულ მამათილს რძლისგან ასეთი პატივისცემა რა თქმა უნდა ესამოვნა და შპალერის ნახევზე რამდენიმე სახელი ჩამოუნერა. – აი, სახელიც აარჩიე და ეს შპალერიც შეაფასე, მოგწონს თუ არა, ოთახი უნდა გაგირემონტოთო. ნათელამ თვალი ჩააყოლა სახელების სიას და გულზე შემო-

ბავშვები გვიან რომ იძინებენ და ალგებრას არ იზუთხავენ, რა გასაკვირიაო. გოგი გეგეჭკორიE საკუთარ ოჯახში ასეთ რამეს ცუდ სიზმარშიც ვერ დაუშვებდა. თავად ბავშვობიდან ყველა წუთი და ყველა საათი განაწილებული ჰქონდა. დილით სკოლა, შუადღეს ქორეოგრაფია დავით ჯავრიშვილთან, ორ

თამარ გალოვანი შვილებთან მერაბ და გობი გეგეჭკორებთან ერთად





მსახიობი გოგი ბაგაჭკორი

ფრისა და ღამისთევების ცდუნებამაც წაძლია, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა. გოგი გეგეჭკორის ბოჰემურ ყოფას იმ დღეს მოელო ბოლო ნათელამ სადარბაზოში ჩემოდანი რომ გამოუდგა. თეატრზე და ოჯახზე მნიშვნელოვანი მისთვის არაფერი იყო. ერთიც და მეორეც მისი აზრით სიფხიზლის, შრომისა და წესრიგის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ. შვილებსაც ამ ყაიდაზე ზრდიდა, მაგრამ თავისი მშობლებისგან განსხვავებით ვერც თავად და ვერც მისი მეუღლე ბავშვებთან იმდენ დროს ვერ ატარებდა, რამდენიც მათ შვილებს სურდათ.

დილა მეტყველების სავარჯიშოებით იწყებოდა, მისი თაობის მსახიობები მეტყველების აპარატს საჭირო ყურადღებას უთმობდნენ. მერე, თერთმეტიდან ორამდე რეპეტიცია ჰქონდა. რეპეტიციის შემდეგ ან გახმოვანება, ან კინოგადაღება. თუ არც ერთი და არც მეორე, მაშინ ჩანერა რადიოში, სალამოს უკვე სპექტაკლი. ნათელას მოღვაწეობაც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ თეატრალური ინსტიტუტით, სხვადასხვა დროს იყო რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, სამხატვრო საბჭოს წევრი, მიყავდა გადაცემები, რომელთაც მიშა თუმანიშვილი რეჟისორობდა. ოთხი წლის გიორგიმ პირველად ტელევიზორში დედა რომ დაინახა, გაბრაზდა – დედა სულ ენატრებოდა, ის კი თურმე აი, იმეყუთში არ ზის. ტელევიზორს უკანა მხრიდან მოუარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკაკუნებდა – გამოდი, მანდ ნუ ზიხარო.

მთელი ის დრო როცა მშობლებს შვილებისთვის არ ეცალათ, მათი მოვლა პატრონობა ანიკო ბებიას კისერზე იყო. ზაფხულობით როგორც წესი ქვიშხეთში მწერალთა დასასვენებელ სახლში მიემგზავრებოდნენ. ყველა ბავშვისთვის პარასკევს სალამოს დღესასწაული იწყებოდა, ტარიელ ჭანტურია, გივი ჭიჭინაძე, ოთარ ჭილაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი და სხვები შვილებთან ამოდიოდნენ. მერე მთელი ორი დღე მათთან რჩებოდნენ. მანანა და გიორგი კი ყურებჩამოყრილი ადევნებდნენ თვალს ამ საერთო ზეიმს, იცოდნენ მათ მშობლებს დასასვენებლად ერთადერთი დღე ჰქონდათ, უღიმამო ორშაბათი.

უკვე ბანალურ ჭეშმარიტებად იქცა აზრი, რომ ორი მსახიობისთვის ოჯახის შექმნა იოლი საქმე ვერ არის. ზოგი მიიჩნევს რომ თეატრალური ოჯახი

დღეში ერთხელ ვიოლინო არჩილ კოკოჩაშვილთან, სალამოობით კი ემა ოტონა გერმანულს ასწავლიდა. მერე მთელი ცხოვრება დისციპლინის ზომიერების

და წესრიგის სიყვარული თან გაყვა. ეს ყველაფერი სისხლში ჰქონდა. მართალია როცა ახალგაზრდა მსახიობმა პირველ წარმატებას გემო გაუგო ქართული სუ-

ფარდა გაიხსნა და დაიწყო . . . სცენაზე ტიგრანა გულოიანის რეპლიკა გაისმა. უენია შეცბა, ეჭვის თვალთ შეათვალთ, გოგი? ნამდვილად გოგია.

შეიძლება კიდევ შედეგს, თუჲ ქმარი რეჟისორია, ცოლი კი მსახიობი, სხვები არც ამდაგვარ კავშირს ამართლებენ – ფიქრობენ რომ ამ შემთხვევაში ერთერთი აუცილებად წააგებს. ან წააგებს სპექტაკლის მხატვრული მხარეო. მაგრამ ამ „სიბრძნის სკივრში“ არაფერია ნათქვამი თეატრალური ოჯახის იმ მოდელზე რომელიც ნათელამ და გოგიმ შექმნეს – მსახიობი და თეატრმცოდნე.

ნათელა ზოგჯერ იტყოდა ხოლმე – რუსთაველის თეატრის შესახებ ვერ დავწერ, იმიტომ რომ იქ გოგი მუშაობს, მარჯანიშვილის თეატრის შესახებ ვერ დავწერ, იმიტომ რომ იქ გოგი არ მუშაობსო. თეატრის შესახებ კამათი ხშირად მოსვლიათ, ჩხუბი – არასდროს, გოგი კრიტიკას ყოველთვის საუკეთესოდ იღებდა და თვითკრიტიკაც არ იყო მისთვის უცხო. მაგალითად ნებისმიერი მსახიობისთვის უმნიშვნელოვანესი, დანიის პრინცის როლის განსახიერების შემდეგ განაცხადა ჰამლეტი ჩავაფლავეო. მერე კი ეს სახალხოდ, ტელევიზიითაც აღიარა. ნათელა კარგად იცნობდა სამსახიობო ხელოვნების სამზარეულოს, იცოდა რა არის როლში შესვლის პროცესი რა გზას გადის არტისტი გარდასახვამდე, წარმოდგენა – პრემიერამდე ეს მას ეხმარებოდა როგორც თეატრმცოდნეს და ადგებოდა როგორც ცოლს. ყოველთვის ითვალისწინებდა ქმრის პროფესიის ყველა ნიუანსს და ცდილობდა მისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური კომფორტი შეექმნა.

გოგი გეგეჭკორის თეატრში მოსვლის დღიდან მისი იქ მოღვაწეობის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ძველი თაობის რეჟისორები ჯერ მისმა მეგობრებმა მიშა თუმანიშვილმა და აკაკი დვალისვილმა ჩაანაცვლეს. შემდეგ უკვე თემურ ჩხეიძემ და რობერტ სტურუამ, მისმა რომანტიკული გმირებმაც ადგილი სახასიათო როლებს დაუთმეს. რეპერტუარში ძალიან გაუმრთლა როგორც სცენაზე ის ეკრანზე სრულიად განსხვავებული ხასიათების შექმნა უწევდა – გაქუცული მგელი „ჭინჭრაქადან“ და სათვალეებიანი ლევანი „ჭრიჭინადან“, მძლოლი აბეზარადან და რეციდივისტი ტიგრანა საბრალდებო დასკვნიდან, ჰამლეტი და პლატონ სამანიშვილი. . . როლზე მუშაობას ის ისევ ფურცლიდან იწყებდა, როგორც ინსტიტუტში ასწავლეს, რვეულის ერთ მხარეს თავის როლს გადანერდა, მეორე მხარეს კი შენიშვნებითვის ტოვებდა – ყოველ ფრაზას ყოველ

რეპლიკას და მოქმედებას აანალიზებდა. ასეთივე თანმიმდევრული იყო ნებისმიერ სხვა საკითხშიც, იქნებოდა ეს რეკვიზიტის დაბინავება თუჲ დეკორაციაზე გაჩენილი ხინჯის გამოსწორება, ყველა ისეთი წვრილმანი ახსოვდა რაც წესით მხოლოდ რეჟისორის ასისტენტის მოვალეობაში შედიოდა. საყვარელ წარმოდგენას „საბრალდებო დასკვნას“ კი ლამის მამასავით პატრონობდა (1973 წლიდან ციხეში ვიზიარო ხუმრობდა ხოლმე,) ამ სპექტაკლში ახალი მსახიო-

ამზადებდა ზოგჯერ კი დაიჩვილებდა – აი, იქ რომ ვიყავი ლებარდები, ვიცოდი რომ დამიმთავრებოდა ვადა და დავბრუნდებოდი საქართველოში ამ სამზარეულოდან როდისღა უნდა გამომიშვათო. ეს ისე ყასიდად – სინამდვილეში აბა ვინმეს გაებედა და სამზარეულოში ფეხი შეედგა. განსაკუთრებული ხელი ჰქონდა, როცა რუსთაველის თეატრის დასი გასტროლებზე მიემგზავრებოდა, ყველა იმას კითხულობდა, ანიკოს კატელეტები ხომ იქნებო?

გოგიმ პირველად ტელევიზორში დედა რომ დაინახა, გაბრაზდა ტელევიზორს უკანა მხრიდან მოუარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკაკუნებდა – გამოდი, მანდ ნუ ზიხარო.

ბების შემოყვანა საკუთარ თავზე აიღო. შინაც ასეთივე მეურნე იყო. ბაზარში სიარულს არავის ანდობდა, ყველა გამყიდველს პირადად იცნობდა და ხშირად წარმოდგენებზეც იწვევდა. უწესრიგობას ვერდსად ვერ იტანდა. ნათურას გამოსაცვლელს არ დატოვებდა რაიმე თუ თავის ადგილას არ დახვდებოდა იწყებდა ჯუჯღუნს. მათ ოჯახს პატარაქალური არ ეთქმოდა, მაგრამ ოჯახის უფროსი ვინ იყო, ყოველთვის კარგად იგრძნობოდა. მოვალეობები გადანაწილებული ჰქონდათ, თუმცა ნათელა დიასახლისობით დიდად ვერ დაიკვებნოდა, არც ეცალა. შინ ძირითადად საწერ მაგიდასთან იჯდა, სამზარეულოში კი ქალბატონი ანიკო საქმიანობდა აცხობდა,

გოგის გამგზავრება გასტროლებზე მთელ რიტუალი იყო, რომელიც ჩემოდნის არჩევით იწყებოდა. ოჯახის წევრებს აზრს სათითაოდ დაეკითხებოდა (თუმცა საბოლოოდ არჩევანს მაინც მხოლოდ საკუთარი აზრის გათვალისწინებით აკეთებდა) მერე კი ნამდვილი პედანტური სიკობტავით კეცავდა ნივთებს ახარისხებდა და ალაგებდა, ზუსტად თავის დროზე გამოცხადდებოდა სადგურში და მერე აღმფოთებული სცემდა ბოლთას თუ დასის რომელიმე წევრი განსაკუთრებით დაიგვიანებდა, ეს რომელიმე წევრი ყოველთვის მედიკო ჩახავა იყო – სად არის კაცო ის ქალი. დახედავდა საათს და გადადგამდა კიდევ ერთი ორ ნაბიჯს, ის ქალი არჩანდა. კიდევ დახედავდა საათს





1991 წელი

ქცეული – ნათელა ამას როგორ უძლებ?!
– უნდა მოესმინა.

როცა ბებია ანა გარდაიცვალა, დამხმარე ქალი აიყვანეს ჟენია ბიჩკოვა, ფრიად კოლორიტული ქალბატონი გამოდგა, გარეგნულად სესილია თაყაიშვილს მოგაგონებდათ ასინეთას როლში. ხასიათი კი . . . ხასიათითაც ცოტა ახირებული გახლდათ, ომგამოვლილი ქალს შიმშილის შიში ჰქონდა და მანიაკალურად ზოგავდა პროდუქტებს. სადღაც კუთხე კუნჭულებში მალავდა სურსათს. ცდილობდა მანანას და გიორგის „ზომაზე მეტი“ არ ეჭამათ. გამოსასვლელ ორმაზბათ დღეს რამდენადაც შეეძლო გამოეწყობოდა და საზეიმოდ მიდიოდა კინოში. მეორე დღეს კი მტელი ამბით ყვებოდა – ისეთი კარგი ფილმი ვნახე ისეთი!!!. „ლეოპარდა“! – (კლეოპატრა იგულისხმებოდა) ერთხელ ოჯახის უფროსმა ჟენიას შესათავაზა - არ გნებავთ ნახოთ, სად ვშუშობ, რას ვაკეთებო – და თავის საყვარელ წარმოდგენაზე „საბარლდებო დასკვნაზე“ დაპატაჟა.

ჟენია თეატრში საგანგებოდ გამოწყობილი მობრძანდა. გოგიმ როგორც ეს მას ჩვეოდა თავის სტუმარს საუკეთესო ადგლი მიუჩინა. ფარდა გაიხსნა და დაიწყო . . . სცენაზე ტიგრანა გულოიანის რეპლიკა გაისმა. ჟენია შეცბა, ეჭვის თვალთ შეათვალიერა, გოგი? ნამდვილად გოგია. აი ტიგრანას მიმართეს – ქურდო და რეციდივისტოო. დარბაზში სიცილია, უცებ გაისმა განწირული და სასონარკვეთილი ყვირილი პირველ რიგებში. ჟენია წამოიჭრა და მთელი დარბაზის გასაგონად ყვირის ცდილობს ყველა იქ დამსწრეს თვალეში ერთად ჩახედოს რომ ეს მიღეთის ხალხი დაარწმუნოს–

!– ჟენია ძლივს დაამოშ-

მინეს კინალამ სპექტაკლი ჩაშალა.

უნესიერესი კაცის სახელი მუდამ თან სდევდა. ცხოვრების დიდი გზა გავლილი ჰქონდა და თითქმის ყველა გამოცდა ჩაბარებული როცა ერთი უცნაური შემთხვევა განგებამ ცუდად დასმული კამათელივით გაუგორა.

90 თუ 91 წელი იდგა. ასეთი დროის, მომსწრე არ ყოფილა. ქვეყანა აირია ქუჩაში თვალს როცა აყოლებდნენ, სულაც აღარ უღიმოდნენ. ხალხს მზერა გაუბოროტდა. ერთხელ რუსთაველზე მისი ასაკის ქალბატონმა გააჩერა დაახლოებით იმ გოგონების თაობისა გახლდათ, რომლებიც გეგეჭკორის ტატოს „ახლოდან დასანახად“ თეატრის წინ საა-

- არა მაინც სად არის ახლა ის ქალი ? ისევ შესძახებდა და ბოლოს უკვე სულ მოთმინებადაკარგული იტყოდა ყველაზე მთავარ ფრაზას – ალბათ ვერა ნიგნაძეს ჭადრაკს ეთამაშება, (ვერა და

მატარებელში ნაჩქარევად აბარგდებოდა და მიემგზავრებოდნენ. სასტუმროში როგორც წესი ბადრი კობახიძესთან ერთად დაბინავდებოდა. მეგობარს ჯერ კიდევ გამგზავრებამდე სულს ხდიდა

ასეთი დროის, მომსწრე არ ყოფილა. ქვეყანა აირია. ერთხელ რუსთაველზე ქალბატონმა გააჩერა და გალანძლა.

მედიკო ჭადრაკის ისეთი თავგდაკლული მოტრფიალენი იყვნენ რომ ერთმანეთსი ჩემპიონატებსაც კი მართავდნენ.) ბოლოს როგორც იქნა მედიკოც გამოჩნდებოდა, უკვე თითქმის დაძრულ

ურეკავდა: პასპორტი ხომ არ დაგრჩა? ყველაფერი ჩაალაგე? ბილეთი ჯიბეში ჩაიდე? როცა დასი უკან დაბრუნდებოდნენ, გეგეჭკორის ოჯახობას კობახიძის სასონარკვეთილი უკვე ფრთიან ფრაზად

თობით იდგნენ. გააჩერა და გალანძღა – შე უსინდისო, როგორ არა გრცხვენიაო! აი შენისთანა მოლალატეები ღუპავენ ჩვენს ქვეყანას სწორედო. მეგრელი მაინც არ იყო!

იდგა ქუჩაში გაოცებული და გულნატკენი. ერთი შეხედვით თითქოს ეცნო კიდეც ეს ქალი. მერე გაიფიქრა, შეუძლებელია მე ამ ქალბატონს ვიცნობდეთ, მერე ისევ იფიქრა, როგორ კაცო, ეს ის გოგონა არ არის, ზედიზედ რომ ესწრებოდა ჩემს წარმოდგენებსო?! არა, მაინც შეუზღებელია ეს „ის“ გოგონა იყოსო. შინ აღელვებული დაბრუნდა. დიდხანს ვერ მოინელა ეს წყენა.

დასკვნას“ და კითხულობდა ილიას, სააბაზანოში იმეორებდა მეტყველების სავარჯიშოებს, პირველად იგრძნო რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს პროფესია დაკარგოს. ამიტომ შინ ერთი მსახიობის თეატრი გამართა. ყოფა მისი მეუღლისთვისაც საგრძნობლად შეიცვალა, დამხმარე ქალის აყვანის შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ. . . ნათელა ჭურჭელს რეცხავს, ეს რაღაც ახალია მის ცხოვრებაში, ტელევიზორში კი „მონა ქალი იზაურა“ გადის – ერთი კვირა ადევნა თვალი პროფესორმა ურუშაძემ ბრაზილიურ სერიალს, ორი კვირა და ბოლოს აღშფოთებულმა საკითხი დასვა – გამაგებინეთ რატომ ჰქვია ამას

მომავალ ოფიცრებს ილიას ჭავჭავაძეს უკითხავდა. კაცმა რომელმაც სამშობლო უნდა დაიცვას ილია უნდა იცოდესო. აღლუმებზეც იწვევდნენ. იდგა ტრიბუნაზე და თვალეგაბრწყინებული ადევნებდა თვალს ახალგაზრდა ოფიცრებს.

მალე მძიმე დრომ ახალი განსაცდელიც მოუვლინა, რუსთაველის თეატრში წარმოდგენები გაჩერდა. უკვე იმ ასაკში იყო როცა ლოდინი მიუწვდომელი ფუფუნება გახლავთ. მსახიობმა თეატრი სახლში გადმოიტანა, ჩაბნელებულ და გაყინულ ოთახებში გადიოდა რეპეტიციებს, თამაშობდა „საბრალდებო

მონა ქალი და მე კი პროფესორი, როცა მე ჭურჭლის რეცხვას, ის კი კაბების ცვლას ვერ აუდისო.

როცა ქვეყანა ოდნავ დალაგდა თეატრშიც რეპეტიციები განახლდა, მერე ვისთან ერთად სპეციალური პროგრამები შეადგინა კითხულობდნენ ქართულ მწერლებს ინსტიტუტებში,

როლზე მუსაოვას ფურცლიდან იწყებდა





ნათელა ურუშაძე შვილიშვილებთან, ანანო მირიანასპილთან და გიორგი გეგეჭკორთან ერთად

ბინეს რომ მსახიობი სასკივდილო სენით იყო ავად. დიაგნოზი? ოჯახში გადაწყვიტეს მისთვის არაფერი ეთქვათ. მაგრამ როგორც ხშირად ხდება ეჭვი ჰქონდათ რომ პაციენტი თავადაც ყველაფერს ხვდებოდა. 80 წლის იუბილე ახლოვდებოდა დიდხანს იფიქრეს როგორ აღენიშნათ, სცენაზე ტრადიციულ საიუბილეო საღამოს მისი ჯანმრთელობა ვეღარ გაუძლებდა. გადაწყდა დოკუმენტური ფილმი გადაეღოთ. ფილმზე მუშაობისას უკვე უმეტეს დროს ლოგინში ატარებდა. ტექსტებს სანოლშივე იმეორებდა, მერე კი წინასწარ დაყენებულ ანყობილ კადრში მიაბრძანებდნენ. როგორც კი კამერა ჩაირთვებოდა. თითქოს ავად არც ყოფილაო სიმხნევს იძენდა. გადაჰყავდა მაყურებელი საკუთარ ბავშვობაში დადიოდა ძველი თბილისის ქუჩებში და უამბობდა როგორ შეუვარდა ვიოლინო ტრამვაის ქვეშ, და სად იყო გიგო ცხონებულის დუქანი. როგორ დაყავდა მამას ის და მისი ძმა კვირაობით მექსიესთან და რა გემრიელი იყო აბანოებთან ნაყიდი ცხელი ქაბაბი. როგორ წაიკითხა ილია და როგორ წაუნერა აკაკი ხორავამ წიგნზე იბრძოლე იმისათვის რომ შენმა თაობამ არ გაიზიაროს ის შეცდომები და ნაკლი რა გააჩნდა და გააჩნია ჩემი თაობის სცენის მოღვაწეთო. . . რვა დღის მანძილზე ასეთი რეჟიმი იმუშავა. ერთერთი ბოლო ეპიზოდი რუსთაველის თეატრის სცენაზე ჩანერეს.

„მსახიობმა პარტერს თვალი მოავლო

– ესეც რუსთაველის თეატრის დიდი სცენა. . . ხარაჩოებში. . . ჩემი ცხოვრების მანძილზე ეს მესამე კაპიტალური რემონტია, ორ წელიწადში ალბათ გაიხსნება, ძალიან მინდა გახსნას დავესწრო , ალბათ დავესწრები. . . თუუ მათამაშეს , ვითამაშებ კიდეც!“ – გადაღებებიდან რამდენიმე დღესი თარიღი მსახიობი გოგი გეგეჭკორი გარდაიცვალა. . .

როცა დასაფლავებიდან დაბრუნდნენ ნათელამ მიჩუმებულ სახლს თვალი მოავლო და მშვიდად წარმოთქვა– ესეც ასე ახლა შეგვიძლია ჩაიც დავლიოთ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის დაჭერის ჩვეული მანერისთვის არ უღალატია, ალბათ საკუთარი ემოციების გარეშეთათვის დემონსტრირება უხერხულად მიიჩნია. ან უბრალოდ არ მოინდომა, ის რაც მხოლოდ მათ ორს ეკუთვნით კიდეც ვინმესთვის გაეზიარებინა. ერთგული მეგობარი გააცილა, და ცხოვრება გააგრძელა, როგორც გემოვნებიან პიესაში, ზედმეტი პათეტიკის გარეშე.

ნინო დადვანი

**კამერა რომ ჩაირთვებოდა.
თითქოს ავად არც ყოფილაო
სიმხნევს იძენდა.
გადაჰყავდა მაყურებელი
საკუთარ ბავშვობაში.**

გოგი ძალიან ყურადღებიანი იყო თავისი ჯანმრთელობის მიმართ ხშირად აკითხავდა ექიმებს იმ ადამიანების ტიპს არ განეკუთვნებოდა ყველაფერს ბოლო წუთამდე რომ მიიყვანენ ხოლმე. მაშინაც თავი ოდნავ შეუძლოდ იგრძნო თუ არა მაშინვე ექიმს მიაკითხა. . . სიფრთხილეს თავი არ სტკივავო. გიორგი ახლდა, გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა მის ვაჟს შეატყუ-



საკურსო სპექტაკლის მერე სახლში რომ მივედი, მახსოვს, დედას ვკითხე – მოგეწონა-მეთქი? რამ მაკითხინა... მომეწონა კი არაო, რომ დაინყო კრიტიკა, ორი დღე აღარ გაჩერებულა.